14 აგვისტოს გაიმართა სსრ კავშირის ჩამპიონატის მე-19 ტურის ბოლო მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ „ტორპედო“ (მოსკოვი) – „ზენიტი“ (ლენინგრადი).

გაიმარჯვეს ტორპედოელებმა 2:1.

ახლა თბილისის „დინამოს“ მიერ „დნეპრთან“ გამართული მატჩის შესახებ:

„დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) – „დინამო“ (თბილისი) – (0:0).

დნეპროპეტროვსკი, „მეტეორის“ სტადიონი. 13 აგვისტო.

„დნეპრი“: გოროდოვი, ბაშკიროვი, ვიშნევსკი, შკვირინი (ევტუშენკო), სოროკალეტი, კუდრიცკი, ბაგმუტი, ჩერედნიკი, შოხი (სონი), ლიუტი, შახოვი.

„დინამო“: გაბელია, კეტაშვილი, ცხადაძე, ჭედია (ცაავა), არზიანი, რევიშვილი, სვანაძე, სულაქველიძე (აფციაური), ცვეიბა, ფანცულაია, გოგიჩაიშვილი.

მსაჯი ს. ჰუსაინოვი (მოსკოვი).

გააფრთხილეს ჭედია, ცხადაძე, გაბელია, ვიშნევსკი.

დუბლიორები - 1:1. დინამოელთაგან ბურთი გაიტანა თედეევმა.

ლიდერისა და აუტსაიდერის ამ მატჩში რაიმე კომპრომისზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. „დნეპრმა“ თვის მინდორზე თავგამოდებით იბრძოლა სალიდერო პოზიციების შესანარჩუნებლად. ასეთივე თავგანწირვით ითამაშეს დინამოელებმაც, რომელთათვისაც ყოველ მატჩს, თითოეულ ქულას ახლა გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად არანაკლები თავგამოდებით იბრძვიან. განსხვავება აქ მხოლოდ თამაშის კლასშია, თორემ ძალების მობილიზება ორივეს მაქსიმალური აქვს.

წლევანდელ ჩემპიონატში „დნეპრის“ წარმატებები უნიკალურ მოვლენად მიგვაჩნია, რადგან გუნდიდან წავიდნენ წამყვანი ფეხბურთელები. რამდენიმე სხვა მოთამაშე დაშავდა და საკმაო ხნით გამოეთიშა შემადგენლობას, მაგრამ, როგორც ხედავთ, „დნეპრი“ მტკიცედ დგას იმ სიმაღლეებზე, სადაც ჩემპიონობისთვის თუ არა, ბრძოლა საპრიზო ადგილებისთვის მაინც მიმდინარეობს. დნეპროპეტროვსკელთა ეს წარმატება ნიშნავს, რომ გუნდს სათადარიგო მოთამაშეთა საიმედო და გრძელი სკამი აქვს. გარდა ამისა, მათ, ვინც ლიდერები შეცვალა, ყველაფერი გააკეთეს საიმისოდ, რომ კოლექტივს ეს დანაკლისი არ დასტყობოდა. ამიტომაც „დნეპრთან“ თამაში, და ისიც, მის მინდორზე, ძალზე ძნელია.

ეს სიძნელე ცხადად იგრძნობოდა თბილისის დინამოელთათვის, რომლებიც ამ მატჩისთვის უმძიმეს სატურნირო მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. და წარმატებით უნდა ეთამაშათ მეტოქის მინდორზე 51-ე ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტთან. ამოცანა, მოგეხსენებათ, ძალზე რთულია და რახან თბილისელებმა მიზანს მიაღწიეს და ერთი ქულა აიღეს, ეს დიდ შენაძენად შეგვიძლია ჩავთვალოთ ახლა, როცა აუტსაიდერთა რიგებში ასეთი შეუპოვარი ბრძოლაა. სულ ორიოდე ტურის წინ დონეცკის „შახტიორი“ პირველ ლიგაში გადასვლის ერთ-ერთი უპირველესი კანდიდატი იყო, ახლა კი, რამდენიმე მატჩის წარმატებით ჩატარების შემდეგ,

დონეცკელთა გუნდმა პირველ ათეულს მიაღწია. ასეთივე პერსპექტივაა ჩვენი გუნდის წინაშეც. ამიტომაც ხელიდან არ უნდა გავუშვათ არც ერთი, თუნდაც სულ უმცირესი შესაძლებლობა, რათა თავი დავარწიოთ სახიფათო ზონას.

თვით ეს განვლილი თამაშიც უმძიმესი გამოცდა იყო დინამოელთათვის. მათ არა მარტო გაუძლეს ამ გამოცდას, კოლექტიური, ენერგიული, შეთანხმებული თამაშით მედგარი წინააღმდეგობაც გაუწიეს მეტოქეს. ყოველ შემთხვევაში, მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში აქტიურად იბრძოლეს და მასპინძელთა კართან რამდენიმე სახიფათო მომენტიც შექმნეს. ცნობილია, რომ თბილისის „დინამო“ ამჟამად ყოველი მატჩის პირველ ნახევარს უკეთ ატარებს, უფრო მობილურად, უფრო ბრძოლისუნარიანად გამოიყურება. ასე იყო ამჯერადაც და, თუმცა, გაბელიას რამდენიმე ძნელი ბურთის აღება მაინც მოუხდა, საერთო ტერიტორიული უპირატესობა აშკარად დინამოელებს ეპყრათ.

შესვენების შემდეგ „დნეპრი“ მთელი სიძლიერით ამოქმედდა. ტაიმის გარკვეულ მონაკვეთში დნეპროპეტროვსკელები თითქმის არ ცილდებოდნენ „დინამოს“ საჯარიმო მოედანს. მატჩის დასასრულს კი ეს შეტევები ხანგრძლივ შტურმში გადაიზარდა. ძალზე ძნელი იყო ამ იერიშების მოგერიება, მაგრამ დინამოელთა სასახელოდ უნდა ითქვას, მათ ყველაფერი გააკეთეს ხიფათის ასარიდებლად და უპირველესი სიტყვა აქ გაბელიამ თქვა. ჩვენი ვეტერანი მეკარე ახლა საუკეთესო ფორმაშია. მატჩიდან მატჩამდე მხსნელ ძალად გვევლინება. ახლაც დენპროპეტროვსკში მან რამდენიმე აშკარა საგოლე მომენტი მოიგერია და იხსნა თავისი გუნდი. გაბელიას მაგალითზე სხვა ფეხბურთელებმაც ძალების დაუზოგავად იბრძოლეს და საბოლოოდ ფრეს მიაღწიეს.

ეს არის თბილისის „დინამოს“ პირველი აღებული ქულა მეტოქის მინდორზე. ამ ქულას უაღრესად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს მისთვის და, გარდა ამისა, გარკვეულ ფსიქოლოგიურ გარდატეხის მომენტადაც მიგვაჩნია, ვინაიდან მხოლოდ საკუთარ მინდორზე მიღწეული შედეგებით ძალზე ძნელია რთული ამოცანების შესრულება. რახან „ნავსი“ გატყდა, იმედი გვაქვს, ეს ერთი ქულა სამერმისოდ ობლად არ დარჩება. ჩემპიონატის დამთავრებამდე სხვა გუნდებთანაც უსათუოდ მოვიპოვებთ წარმატებებს.

საფეხბურთო სამყარო, თბილისის „დინამოს“ გულშემატკივრები იმედით ვცხოვრობთ. ამ იმედს რეალური ფაქტებით ესაჭიროება გამაგრება და ამიტომაც გვინდა, რომ ჩვენმა გუნდმა მომავალშიც ასეთი მონდომებით და ენერგიით იბრძოლოს მეტოქის მინდვრებზე და რაღა თქმა უნდა, შინაც.

მაგრამ ამ კონკრეტულ მატჩის მიმართაც გვაქვს პრეტენზიები. საქმე ეხება დისციპლინას. წესრიგის დარღვევებით თბილისის „დინამო“ ყველაზე უფრო გამოირჩევა უმაღლეს ლიგაში. ცნობილია, რომ გასაჭირში მყოფი გუნდის მოთამაშეები ზედმეტად ნერვიულობენ, დისციპლინასაც ხშირად არღვევენ, მაგრამ საწყენია, როცა

ჩვენს გუნდს ყველაზე უწესრიგოთა შორის ვხვდებით. აი ახლაც, „დნეპრთან“ მატჩში გაფრთხილება მიიღო ჩვენმა სამმა ფეხბურთელმა. ამ გაფრთხილების გამოისობით „დინამოს“ წამყვან ფეხბურთელებს ხშირად უხდებათ ჩემპიონატის ყველაზე საპასუხისმგებლო მატჩების გამოტოვება. ახლა კი, როცა კვალიფიციურ მოთამაშეთა ასეთ დეფიციტს განვიცდით, თითოეული მათგანის გაცდენა აუნაზღაურებელი დანაკლისია. ამის თაობაზე ადრეც გვქონდა ლაპარაკი. დინამოელებმა კარგად უნდა იცოდნენ, რომ საჯარიმოების დარტყმის 9-მეტრიანი დისტანციის დაუცველობას მათ არავინ აპატიებს, ამიტომაც არც ერთმა მათგანმა არ უბრალო სიტუაციებში არ უნდა მისცეს მსაჯებს მკაცრი სანქციების გამოტანის საბაბი. დისციპლინის დაცვის საკითხი სერიოზული მსჯელობის საგნად უნდა იქცეს ჩვენს გუნდში. მეორეც, რამაც ერთგვარი უსიამოვნო კვალი დატოვა გულშემატკივრებში. მათ ტელევიზიით კარგად ნახეს, რომ მატჩის დამთავრების შემდეგ მეტისმეტად აგზნებული თბილისელი ფეხბურთელები იქვე, სათამაშო მინდვრის გვერდით, სარბენ ბილიკზე ათეულ ათასობით მაყურებლის თვალწინ სიხარულით ერთმანეთს ზურგზე ახტებოდნენ, კოტრიალობდნენ და ასე გამოხატავდნენ თავიანთ ემოციებს. ქულა რომ ავიღეთ დნეპროპეტროვსკში, ეს კარგია, მაგრამ თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებს ამდენი საკუთარი ღირსება აუცილებლად უნდა შერჩეთ, რომ „დნეპრთან“ აღებული ქულის გამო, უცხო სტადიონზე მეტი თავდაჭერა გამოიჩინონ. ემოციებსაც და მოჭარბებულ ვნებათაღელვასაც მოთოკვა სჭირდება. ასეთი ეპიზოდები მაყურებლებს არ ავიწყდებათ. მოვა დრო, როცა თბილისის „დინამო“ სულ სხვა რანგში გამოვა დნეპროპეტროვსკის სტადიონზე. ფეხბურთელთა ეს ყირამალები კი მათი ღირსების შეურაცხყოფად დარჩება დიდი ხნით.

ლელო 16.08.1988